№ 263 19 ქრისტეშობისთვე, ოთხშაბათი 1866—1879 19 ქრისტეშობითსვე, ოთხშაბათი № 263

**რედაქცია:** ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

**ცალკე ნომერი ღირს შაურად.**

# დროება

**ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა**

**ფასი განცხადებისა:** ლიბიახოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დ საბეჭდად გამგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

**ცალკე ნომერი ღირს შაურად.**

## „დროების“ რედაქციისაგან

დღევანდლამდინ, როგორც მკითხველიც შენიშნავდა, პოლიტიკური და ტელეგრამმები ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა მხოლოთ მეორე დღეს თფილისში მოსვლის შემდეგ. ახლა ჩვენ შეველარით პირობით „ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგნოს“ თფილისელ აგენტსა და ამის გამო **მომავალის 1880 წლიდამ ყოველგვარი ტელეგრამმები დაიბეჭდება „დროებაში“ იმავე დღეს, რა დღესაც თფილისის დანარჩენ გაზეთებში იქნება დაბეჭდილი.**

ამას გარდა მომავალის წლიდამ „დროებაში“ დაიბეჭდება ხოლმე სახაზინო **განცხადებანი: ინტენდანტსტვოსი**—სხვა-და-სხვა პოდრიადებისა (იჯარებისა), პოსტავკებისა და სხვ. და აგრეთვე **პრიკაზისა**—ვამულების გასყიდვის თაობაზედ.

## „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქცია

**გარდავიდა** ერევნის მაიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლებში, № 2.

ოთხშაბათს, 19 დეკემბერს ქართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

**რაც გინახავს ვეღარ ნახავ!**

კომედია სამს მოქმედებად ა. ცაგარელისა.

II

**ყვავი ფარშევანგის ფრთებით.**

ოდეევილი ერთ მოქმედებად გადმოკ. ვ. აბაშიძისაგან.

პირველ პიესის შემდეგ **გაბუნიას ქალი** იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაურეოვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

(3—2)

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

**ბერლინი, 14 დეკემბერს.** აქაურმა პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა, სადაც სხვა-და-სხვა სოციალური აღკრძალული წიგნები იბეჭდებოდა; ერთი მბეჭდავი და ორი ასოს-ამომწყობი დაიჭირეს.

**პარიჟი, 15 დეკემბერს.** ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბრეევიმ მიიღო ყველა მინისტრების თხოვნა სამსახურიდამ განთავისუფლების თაობაზედ. ახალი სამინისტროს შედგენა ფრეისინესა აქვს მინდობილი; მანამ კი ისევ ძველი მინისტრები აასრულებენ თავიანთ თანამდებობას.

**თეირანი, 14 დეკემბერს.** სპარსეთის შაჰი გაზაფხულზე სალოცავად წასვლას აპირებს მეშხედში; ის იახლებს თან 10,000 კაცს ჯარს.

**კალკუტტა, 15 დეკემბერს.** 3,000 ბილზაის ტომის ხალხი ჯეგდალაკს დაეცა თავს, მაგრამ დაამარცხეს და ოკუ-აქციეს.

## ფელეტონი

### სიზმარი

საიდამ ქასპი და შავი ზღვა ჩანს
თვალ-აუწვდენელ ტიტველა მთაზედ,
შავით მოსილი ღრმა მოხუცი დგას,
მეფის გვირგვინი ადგია თავზედ.

—

შორს ბრძოლის ელსა ადეენებს
თვალსა,
ჭექა და გრგვინვა ესმის ზარბაზნის...
ოხრავს და იქნევს მწუხარეთ თავსა,
უხვათ ცრემლები თვალიდამ სდის.

—

წამოიძახა აღშფოთებულმა:
„რა რომ ვიტვირთე მძიმე გვირგვინი,
რა სცნო სამეფო დარდები გულმა,
მეორეთ არი ასე რომ ესტირი.

—

„პირველათ, მახსოვს, არაგვის კიდეს,
როს ვიყავ მტრისგან გაოხრებული,
რომ ეწყვეტდი გულში ჩემი ხალხის ბედს,
მოყმის მუხთლობით გაჯავრებული.

—

„იქ მახლდა მაშინ და მამხნევებდა
ჩემი მარჯვენა, შვილი ერთგული,
ვინ მამულის მტერს არ ახარებდა,
ვის სამშობლოსთვის უძგერდა გული.

—

„ჩემი განზრახვა მას ავუხსენი,
ეკითხე: რას ბრძანებ, ჩემო მსაჯულო?
მკადრა, „ნუ შიშობ, ღმერთია მხსნელი;
იმედს რათ კარგავ, მეფეე ქებულო!“

—

„ბონიერ რჩევით მომაშლევინა
იგი განზრახვა წულულის გულისა;
სამეფო დროშა გამაშლევინა,
მფარველი მარად ერის, სჯულისა.

—

„ახლა ვარ მარტო, გულ-მოწყვეტილსა
ვინ მეტყვის რამეს გულის საამოს?
მწუხარებისგან გონ-დაშრეტილსა
ვერავინ წამცხებს მკურნალ მალამოს...

—

„არ ვსტირი მისთვის, რომ იხოცება
მრავალი გმირი ჩემის ტომისა,
რომე ვაქკაცი ვაქკაცებრ კვდება,
არ აქვს ადგილი გულში შიშისა,—

**პეტერბურღი, 15 დეკემბერს.** „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმები 13-ს და 14-ს მიღებული ქანნიდამ იმპერატრიცის მშვიდობიანობის შესახებ: 15 დეკემბერს. იმპერატრიცას თან-და-თან ემატება ლონე; ახლა უფრო ნაკლებად ახველებს, უკეთაც სძინავს; სითბო აქვს 30,9 მაჯა 96. 14 დეკემბერს. დღეს კიდევ უკეთ არის გუშინდელზე; ხველება თითქმის სრულიად აღარა აქვს; ღამე კარგათ სძინავს; მადაც მოემატა; სხეულის სითბომ ცოტა უკლო, მაჯა კი 112-ჯერ სცემს მინუტში.

**სტამბოლი, 14 დეკემბერს.** ოსმალეთის მმართებლობა ისევ დაემორჩილა ინგლისის გავლენას; იმას ეშინიან მცირე აზიაში და არაბეთში არეულობის მოხდენისა და ამის გამო რასაც ინგლისის ელჩი ურჩევს და მოსთხოვს, ყველაფერს ასრულებს. სომხეთიდამ ცუდი ამბები მოდის, იწერებიან, რომ ხალხი ძალიან აღელვებული არის ოსმალეთის მმართებლობის წინააღმდეგაო.

—

**კავკასიის მთებიდამ, 17 დეკემბერს.** ზუდაურის სტანციასთან საშინელი ქარიშხალი ატყდა გუშინღამ; გზები შეკრულია თოვლისაგან; არც ურმის გზა არის და არც მარხილისა; მუშაობა და გზის გაწმენდა ჯერ ვერ მოხერხდება, ცუდი ამინდის გამო.

# საქართველო

## ქუთაისის ქალაქის ამორჩევები.

წელს ამ დეკემბრის თვეში ქუთაისის ქალაქის რჩევის ხმოსანთა გაუთავდათ თავიანთი საქალაქო სამსახურის ვადა და ამ ჟამად 16-ის, 18-ისა და 20-ის დეკემბრისათვის დანიშნულია ახალი კენჭისყრა მომავალი ოთხი წლისათვის ახალი ხმოსანების ამოსარჩევლად.

შემდეგ ახლად-არჩეულმა ქალაქის რჩევამ უნდა ამოარჩიოს ქალაქის თავი და ერთი ქალაქის ზამგეობის წევრთაგანი, რადგან ამათაც ვადა უთავდებათ.

როგორც ეტყობა, ეს ამორჩევები წელს ძალიან გაცხარებული ამორჩევები იქნება. ახლავე შემდგარან პარტიები, ახლავე ბანაკ-ბანაკებად განაწილებულან, განზე გადგომილან, ერთმანეთს შებღვერიან, ემუქრებიან, არავითარს ღონის-ძიებას არ ზოგავენ მტრის დასამარცხებლად და თავის გასამარჯვებლად.

თითქო ჰაერია ესეთი იმერეთში, რომ არავითარი საზოგადო საქმე არ გაკეთდება იქ ისე, რომ შეჯახება, პარტიობა და განხეთქილება არ მოხდეს. ერთს პარტისა მეორისა არა სწამს-რ ერმა რომ სთქვას შუადღეზედ ახლა დღის თორმეტი საათიაო, მეორე უეჭველად წინააღმდეგს იტყვის; ერთს რომ წასცდეს—ორჯერ ორი ოთხიაო, მეორე არ დაეთანხმება. იმდენი მოთმინება, მიუდგომლობა და საზოგადო საქმისათვის თავის კერძო თავმოყვარეობის დავიწყება არა აქვთ, რომ მოწინააღმდეგესაც მოუსმინონ, იმის წინადადებაც მიიღონ, თუ ის წინადადება საქმისათვის სასარგებლო და გამოსადეგია. ყველა თავისას ამბობს და სხვისას ეწინააღმდეგება; ყველა თავისკენ იწევს და სხვას ორმოს უთხრის.

თუ კერძო ცხოვრებაში, განცალკევებულის კაცის მოქმედებაში გასაკიცხავი და დასაძრახისია ამგვარად საქმის დაჭერა, ამ გვარი უაზრო წინააღმდეგობა, ათასჯერ, ათი-ათასჯერ უფრო დასაძრახისი და გასაკიცხავია ამისთანა მოქმედება საზოგადო საქმეში, საქვეყნო მოვალეობის აღსრულების დროს; კარგი მოქალაქე, პატიოსანი მამულის-შვილი ის არის, ვისაც საზოგადო საქმის სამსახურში თავის კერძო ინტერესები, თავმოყვარეობა, ჯიბრობა არ შეჰყავს, ვინც ამ საზოგადო საქმისთვის თავის სარგებლობასაც ივიწყებს და მოქმედებს ისე, როგორც ამ საქმეს, და არა როგორც კერძოთ იმას ანუ იმის რომელსამე მეგობარსა და ნაცნობს, მოუხდება.

ამ უბრალო, გაცვეთილ ჭეშმარიტებას, საუბედუროთ, ხშირად ივიწყებენ იმერეთში. დაუვიწყნიათ ეს ახლაც, როდესაც ქალაქის კეთილ-დღეობისათვის მზრუნველ ხმოსნების ამორჩევა არის დანიშნული:

ჩვენ გვწერენ, რომ ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პარტია შემდგარა ამჟამად იქ, რომელნიც ერთმანეთს შთანთქმას, გაქარწყლებას ემუქრებიანო; ერთის მხრით დგას „ფრანგების“ პარტია, მეორეს მხრით „ქართველებისაო.“ როგორც ამას წინათაც ვსთქვით, უაზრო პარტიობაა ამგვარი განაწილება „ქართველებსა“ და „ფრანგებ“ შუა, რადგან ორივე ქართველები არიან, ორივე ერთი მიწის შვილნი. შეიძლებოდა სხვა რომელიმე ინტერესებს, სხვა მიმართულებას ან მოსაზრებას გაენაწილებინა ქუთათური ქართველები ერთმანეთისაგა მაგრამ სარწმუნოებას კი არ უნდა ჰქონოდა ამ საქმეში ხელი. მე ფრანგი ვიყო, თქვენ ურია, ან მე ურია თქვენ სომეხი,—ამას ქალაქის სამსახურის დროს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს?! ვინც უნდა ვიყვნეთ, რა რჯულისა და სარწმუნოებისა უნდა ვიყვნეთ, ჩვენი ორთა-

---

„მამულისათვის სისხლის დაქცევა
ჩემს ხალხსა მოსდგამს, ეს ყველამ იცის;
ასჯერ უმრავლესს არ გაექცევა,
მტერს დაეცემა როგორც რისხვა ცის;

—

„მაგრამ ოჰ, ღმერთო! რას ვხედამ ამას?!
საგლოვ ბედ ქვეშ მყოფს და მტრისგან ძლეულს
ძმა მიხტომია, ებრძვის თავის ძმას;
ტყორცვენ ერთმანერთს ხმალს პაპისეულს!

—

„ცადამდე ადის ბრძოლის ველს მტვერი,
ერთი მეორეს ქლეტენ, არ ზოგვენ,
თითქოს მოსისხლე დიდიხნის მტერი
თავის პაპების სახლ-კარს ცეცხლით წვენ!..“

ზასძახის მებრძოლთ: „სისხლს ნუღარ აქცევთ!
ზასწყვიტეთ ომი ეგ საზიზღარი!
თქვენ სამშობლოსა თქვენვე ნუ აქცევთ;
ზამოიღვიძეთ, აწი დრო არ-!..“

—

„აღარ აქვს ძალი ჩემ სიტყვებს მათზე:
უფრო ფიცხლდება ომი მათ შორის;
მაღლათ დაფრინავს ორბი მათ თავზე,
დაუღალავი მძებნელი მძოვრის...“

—

შეხედა ქვეყნებს უკანასკნელათ,
სად თვით უფლებდა მეფე ქებული;
შემდგომ აფრინდა ჰაერში ნელათ
ზულ-დატანჯული, დაღონებული...

—

მუხლზედ დაევარდი, მისთვის მტირალი.
შევსძახე: „—ზიცან სახელ-განთქმულო!
დასდევ მცირეს ხანს, მოგავლო თვალი,
შენის ერისა სასიქადულო!...“

—

სიზმარი იყო გრძელი და მწარე,
ზამომეღვიძა და ვიგონებდი:
რა ქვეყნის იყო ის არე-მარე?
ვინ იყო მეფე იმ მთას მდგომარე?

დ. ლეონიძე.

1879 წ. ივნისის 2-სა.

ესი ზრუნვა და მეცადინეობა ის უნდა იყოს, რომ რაც ძალა და ღონე გვაქვს, ერთად, ძმურად ვემსახუროთ საზოგადო საქმეს, საზოგადო ქალაქს.

ამბობენ, „ფრანგების“ პარტია ახლანდელ გამგეობას ემდურისო, განზრახვა აქვთო, რომ ახლანდელი ქალაქის თავი და წევრებიც გამოცვალონო. ჩვენ არ გვჯერა ეს, არ გვჯერა იმიტომ რომ ქუთაისის ფრანგებში ურევიან ისეთი განათლებული ყმაწვილები, რომელთაც კარგათ ესმისთ, რომ ქალაქის თავისა ან რომელიმე წევრის გამოცვლა იმიტომ, რომ ისინი მმარლ-მადიდებელი სარწმუნოების არიან და არა კათოლიკე—უაზრო და უკადრისი საქმე იქნება. ჩვენ არ ვიცით—როგორ ასრულებს ახლადელი ქალაქის თავი თავის მოვალეობას; მაგრამ რამდენათაც ჩვენ ვიცით, უფ. ლ. ასათიანი პატიოსანი კაცია, საქმისა კაცია, მიუდგომელი ხასიათისა და უანგარო, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამჟამად იმისთანა მეორე „სათავო“ კაცს ქუთაისი ვერ იპოვნის ასე ადვილად..

რაიცა შეეხება ქალაქის რჩევისათვის ახალი ხმოსანების აღრჩევას, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის ამომრჩეველნი, კენჭის-ყრის დროს, არ მიიღებენ მხედველობაში კანდიდატების სარწმუნოებას, სიმდიდრეს და სხვა ამ გვარ რამეს, რომელსაც ქალაქის სამსახურისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ისინი მიხედვენ მხოლოთ იმას—თუ ის კანდიდატი რამდენათ პატიოსანი კაცია, რამდენად გონიერი, ნასწავლი და რამდენად გამოსადეგი იქნება იმის სამსახური ქალაქის კეთილდღეობისათვის.

ამის შესახებ ერთი შენიშნვა: რუსეთის და აგრეთვე სამზღვარ-გარეთის ქალაქების ამომრჩეველნი დარწმუნდნენ, რომ ქალაქის საზოგადო საქმეები იმ პირთ უკეთ მიჰყავთ, რომელთაც არავითარი კერძო, საკუთარი ინტერესები არა აქვთ, რომ ასე ან ისე გადაწყვეტონ ეს საქმეები. ამის გამო ისინი უფრო ისეთს პირებს არჩევენ ქალაქის რჩევის ხმოსანებად, რომელთაც არც საკუთრება აქვთ ქალაქში, „არც სიმდიდრე, არც რომელიმე სხვა ანგარიში, რომ საზოგადო საქმეებში თავის ინტერესების გატარება შეეძლოსთ...

ურიგო არ იქნება, რომ ამ გამოცდილებით და გონიერი მაგალითით ქუთაისის ამომრჩეველთაც იხელმძღვანელონ..

ს. ვ.

---

## ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** დღეს, ოთხშაბათს, საზოგადო თეატრში იქნება ქართული წარმოდგენა ჩვენი სამუდამო ტრუპპისა. ითამაშებენ ჩვენი აქტიორის უფ. ა. ცაგარელის ახალ სამ-მოქმედებიან კომედიას „რაც გინახავს, ეღარ ნახავ!“ და უფ. ვას. აბაშიძისაგან გადმოკეთებულს ერთ-მოქმედებიან ვოდევილს. „უ ე ა ვ ი ფ ა რ შ ე ვ ა ნ გ ი ს ფ რ თ ე ბ ი თ“.

ჩვენ არ წაგვიკითხავს უფ. ცაგარელის პიესა, მაგრამ ვისაც წაუკითხავს და რეპეტიცია უნახავს, ძალიან აქებენ, საუცხოო რამ არისო, დიდი ეფექტი ექნება სცენაზედაო და თამაშობითაც ძალიან კარგათ ითამაშებენო.

შინაარსი პიესისა, როგორც ამბობენ, ერთი ისეთი ფაქტია, რომელიც თფილისელებმა კარგათ იციან—შიოევის ისტორია, ქალი რომ მოსტაცა ვიღაც დიღმელ გლეხს. ქინტოების ცხოვრება და ხასიათი ფოტოგრაფიულის სინამდვილით კომედიაში გამოხატულიო.

*** ამ შაბათს, 22 დეკემბერს, დანიშნულია ბენეფისი ჩვენი ტრუპპის ნიჭიერ აქტიორის უფ. ვას. აბაშიძისა. ითამაშებენ უფ. ზაბ. სუნდუკიანცის ხელ-ახლად გადათარგმნილ კომედიას „ხათაბალას“.

სრული იმედი გვაქვს, რომ ქართული საზოგადოება, რომლისთვისაც ამ ჩინებულ აქტიორს ბევრი ესტეტიკური სიამოვნება მიუნიჭებია, ღირსეულად დააფასებს იმის ნიჭსა და მოღვაწეობას ქართული ნორჩი თეატრის დახმარებისა და წარმატებისათვის.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თფ. გუბერნიის ზოგიერთ თავად-აზნაურთ მოლაპარაკება ჰქონიათ ამ დღეებში იმ სამწუხარო მდგომარეობაზედ, რომელშიაც იმყოფება ამ ჟამად ამათი შვილების აღზრდის საქმე. ქართველი თავადაზნაურობა ცდილობს როგორმე ისე მოაგვაროს საქმე, რომ იმათ შვილებს გაუადვილდეს მიღება და სწავლის შესრულება სხვა-და-სხვა საშუალ სასწავლებლებში.

ამ საგნის შესახებ გარდაწყვეტით ჩვენს თავად-აზნაურობას ჯერ არა გარდაუწყვეტია-რა; მაგრამ, ამბობენ, განზრახვა აქვთო, სთხოვონ უმაღლესს მთავრობასაო, რომ აქაურს გიმნაზიებში მდაბალ კლასებში გაიხსნას პარალელური კლასები, სადაც რამდენიმე წლის განმავალობაში ქართველ ყმაწვილებს შეეძლოსთ თავიანთ სამშობლო ენაზედ პირველ-დაწყებითი სწავლის მიღება და შემდეგ რუსის და სხვა-ტომის ყმაწვილებთან ერთად გაგრძობა სწავლისა რუსულს ენაზედაო.

ამ ჩინებულის ღა ადვილად მისაწვდომელის აზრის საფუძველიანად განსახილველად დაუნიშნავთ რამდენიმე პირისაგან შემდგარი კომისია, რომელმანც თავის გარდაწყვეტილი წინადადება ამ მოკლე ხანში უნდა წარუდგინოს თავად-აზნაურობას.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ კვირა საღამოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მიხეილ ასათიანი რევოლვერით მოუკლავს ერთს იქაურ მაწავლებელს რომელსაც რაღაც მტერობა ჰქონია მისი.

განსვენებულს ასათიანს ქონდა შესრულებული უაზანის აკადემია და 1874 წლიდამ იყო ხსენებული სასწავლებლის ზედამხედველად. უკანასკნელ დროებში ის აპირებდა სასულიერო ჟურნალის გამოცემას ქუთაისში და იყო ერთი უმთავრესთა წევრთაგანი იმ რედაქციისა, რომელმაც უნდა გამოსცეს მომავალი წლიდამ ქართული ჟურნალი „იმედი“.

ამბობენ, რომ განსვენებულს დარჩა რამდენიმე მოთხრობა და ლექსები, რომლებსაც, უეჭველია, დაბეჭდვენ მისი ნაცნობები და მეგობრები.

---

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

---

**ფოთი, 15 დეკემბერს.** დაწყებიდანვე დეკემბრისა აირია ჰაერი, დაიწყო მუქარება ღრუბლებმა, ჰქრის საშინელი ქარი სხვა და სხვა მხრით, წვიმს გაუწყვეტლივ, ზღვიდამ მოისმის უბედურობის ხმა, ღრიალი და შხიერილი; ერთის სიტყვით, დღე ერთია და ჰაერის ცვლილება ათასნაირი. ვნახავთ, ქარი მობრუნდება, იმედი მოგვეცემა, ღრუბელს გადაჰყრის და ვამბობთ, დარს ველირსებით; მაგრამ ვაი თქვენს მტერს, უარესი მოგველის; მერე ისევ უცებ მზე გამოაჭყეტს თვალებსა, კიდევ იმედი მოგვეცემა დარისა, შემდეგ ხელ-ახლად ამოვარდება ქარი, და ასე ამნაირად.

ამოდენა წვიმებმა ისე გაგვიხადა ფოთის ქუჩები, რომ აღარ ეტყობა ქუჩა სად არის, ტროტუარი სად არის და თხრილები სად! ველგან წყალი დგას; თუ კაცმა აქაური ქუჩების ხასიათი და მდებარეობა კარგათ არ იცის, სადმე კისერს მოიტეხს და თქვენი მოწონებულიც ლაზარესავით გაიწუნწკლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთანა ცუდს ამინდში და ფურთნაში ზღვაში დგანან რამდენიმე გემები და პარახოდები და საცოდავათ ირყევიან. ღმერთი მოეხმაროს იმათ, ააცილოს იმისთანა უბედურება, როგორც შარშან ამდროს „რიონ" პარახოდს და ნავთით დატვირთულს გემს უბედურობა დაემართათ.

დეკემბერმა შარშანაც ერე ინ ბა: იჭინჭყლა, იშფოთა და ბოლოს „რიონი" და ერთიც ნავთით დატვირთული გემი იმსხვერპლა; სწორეთ დღევანდელს რიცხვში იყო „რიონი" რომ ილუპებოდა 400 სული პასაჟირითა; მაგრამ მადლობა ღმერთს და პარახოდის კაპიტანს შჩერბინსა, რომ არაფერი ზარალი არ მომხდარა, რადგან პარახოდი კარგს ალაგს გამოარიყვინა ზღვის ნაპირას, და შემდეგ, ლევან ჯალალოვის და ურიადნიკის მ ქრაძის მეცადინეობით და თავგანწირულებით, ხალხი პარახოდიდამ ნაპირზედ გამოასხეს.

ამ ცუდ ამინდებს ვაჭრებიც ძალიან ემდურებიან: ვაჭრობა სრულებით არა გვაქვსო; მაგრამ მიზეზი ეს არ არის „ქესატობისა"; მიზეზი ის არის, რომ ომიანობის დროს ვინც ფული იშოვნა, ის ფულები ეხლა ყველა სავაჭრო დუქნებათ გარდაიქცა, ისე რომ დუქნები ბევრია მუშტარზედ. და როცა ასე გამრავლებულია ვაჭრები, რაღა ვაჭრობა უნდა იყოს!

ე. გ.

# განცხადებანი

**მუდამ დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული რუსული გაზეთი**

# „თფილისის განცხადებანი"

ხსენებულ გაზეთის რედაქციას განზრახვა აქვს, რომ 1880 წელს გაავრცელოს პოლიტიკურ - ლიტერატურული ნაწილი და აცნობოს თავის მკითხველთ არათუ მარტო ისეთი ამბები, რომელნიც თფილისს შეეხებიან, როგორც დღემდინ იყო, არამედ ისეთიც, რომელიც მთელს კავკასიასა და ქვეყანას შეეხება მაცნობები მოკლედ იქნება გაზეთში მოყვანილი, რომ ბევრი დრო არ დაჰკარგოს მკითხველმა; რაც საინტერესო არ არის, არ დაიბეჭდება; საზოგადო კითხვებს უპირატესობა ექნება კერძოებზე. მთელი წლის განმავლობაში იქნება პოლიტიკური და კურსის ტელეგრამმები.

**გაზეთის ფასი:** ერთის წლისა, თფილისში მიტანით—3 მან., სხვა ქალაქებში გაგზავნით—4 მან.

(3—2)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА**

**НА 1880 ГОДЪ**

**НА ЕЖЕДНЕВНУЮ, БЕЗЦЕНЗУРНУЮ, ПОЛИТИЧЕСКУЮ И ОБЩЕСТВЕННУЮ ГАЗЕТУ**

# „РУССКІЙ КУРЬЕРЪ"

Газета будетъ выходить ежедневно, въ форматѣ нашихъ большихъ газетъ, по слѣдующей программѣ: постановленія и распоряженія правительства; телеграммы; обзоръ политическихъ событій и общественной жизни; обсужденіе вопросовъ дня; военныя извѣстія; мнѣнія русской и иностранной печати по данному вопросу и сущность руководящихъ статей; иностранныя извѣстія по русскимъ и заграничнымъ источникамъ; извѣстія изъ славянскихъ земель. Жизнь Россіи; наши домашнія дѣла; корреспонденціи; народное образованіе; внутреннія извѣстія; хроника; хроника научная, литературная и художественная; театральныя и музыкальныя извѣстія; судебная хроника. Историческій листокъ; разныя извѣстія; биржевыя, железно-дорожныя, торговыя, и др. свѣдѣнія; справочныя извѣстія.

Подписная цѣна съ пересылкой и доставкой въ Москвѣ и на города:

| | | |
|---|---|---|
| На годъ | 6 | руб. |
| „ полгодъ | 4 | „ |
| „ 3 мѣсяца | 3 | „ |
| „ 1 мѣсяцъ | 1 | „ |

За границу плата вдвое.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:** въ Москвѣ, въ конторѣ редакціи газеты „РУССКІЙ КУРЬЕРЪ", Столешниковъ пер. д. Рожнова; въ конторѣ изданія газеты—у Москворѣцкаго моста, въ д. Н. П. ЛАНИНА, въ его конторѣ и у всѣхъ извѣстныхъ книгопродавцовъ Москвы; С.-Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ Исакова и картографическомъ заведеніи Ильина.

Гг. иногородные благоволятъ адресовать свои требованія исключительно въ контору изданія газеты „РУССКІЙ КУРЬЕРЪ"—Москва, Москворѣцкій мостъ, домъ Ланина, при его конторѣ (6—4)

15 ნოემბერს ამ 1879 წლის თფილისში დაიწყო თავის მოქმედება „რწმუნებაზედ დამყარებულ ამხანაგობამ" ფირმით

**სავაჭრო სახლი**

# იაგორ ქასუმოვი და ქამპ.

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადგილობრივ წარმოებას დაეხმაროს.

**თავნი ფული ამხანაგობისა უნდა შესდგეს**

# 750,000 მანეთი

ეს ფული შესდგება პირველი რაზრიადის 1000 მანეთიანი პაებითა, რომელიც დანიშნულს ვადაზე უნდა შემოიტანონ და რომელსაც პრემია ეძლევა.

მეორე რაზრიადის პაები, რომელთაც მხოლოდ დივინდენდი (სარგებელი) ეძლევათ, არიან 500 მანეთიანი, 100, 50 და 25 მანეთიანი.

**ამ თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:**

1) ასესხებს ფულს იმ პირობით, რომ სესხის ამღებმა დანიშნულ ვადაზე ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ვალი.

2) იყიდის და გაჰყიდას სარგებლიან განანტიის ბილეთებს.

3) შესანახად მიიღებს ფულს.

4) იკისრებს ისეთს სავაჭრო და საწარმოვო საქმეებს, რომლის შემწეობითაც ამხანაგობას მიეცემა ღონისძიება, რომ აუცილებლად საჭირო საგნები გაიაფოს თფილისში.

**ამხანაგობა მიიღებს:**

სესხისთვის, რომელსაც თვეობით გადაიხდიან ნაწილ-ნაწილად 8% წელიწადში
— — კვირაობით თუ გაირდაიხდიან 7% წელიწადში.

**თ ვ ი თ ო ნ ა ძ ლ ე ვ ს:**

1. **დროებით შეტანილს ფულში** უპირობოთ და პირობით } 4% პროცენტს
2. **მოთხოვნამდინ შეტანილს ფულში** }
3. **ვადით შეტანილს ფულში:** 6 თვით — 5 პროც.
9 თვით — 6 „
1 წლით და მეტით — 7 პროც.

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა გაღებულია დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ და საღამოს 6 საათიდამ 8-მდინ. უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ დილისვე 10-მდინ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Декабръ 1879 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს მესხი